პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 129 (6184)

4 ივლისი, 1978 წ. შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ფეხბურთი

### სსრ კავშირის ჩემპიონატი

•

კარგად ითამაშეს თბილისის დინამოელებმა გუშინ, 1 ივლისის მატჩში მოსკოველ რკინიგზელებთან. გამარჯვებაც 2:0 სავსებით დამსახურებული იყო. ორივე გოლი დინამოელმა თავდამსხმელმა რევაზ ჩელებაძემ გაიტანა.

• • •

სურათზე: მეორე გოლი სტუმართა კარში.

გ. დოლენჯაშვილის ფოტო.

# საქართველოს სპორტკომიტეტში

**ამ დღეებში** გაიმართა საქართველოს სპორტკომიტეტის კოლეგიის მორიგი სხდომა.

სხდომამ განიხილა კომიტეტის 1976 წლის 18 მარტის დადგენილების — „რესპუბლიკაში ქართული ჭიდაობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" შესრულების მიმდინარეობა. ითქვა, რომ რესპუბლიკაში ქართული ჭიდაობის განვითარება აღმავლობით მიდის. თუ ადრე იგი 22 რაიონში იყო დანერგილი, ახლა 34 რაიონში მისდევენ სპორტის ამ სახეობას. 79-დან 127-მდე გაიზარდა ფასიანი სასწავლო-საწვრთნო ჯგუფებისა და სექციების რიცხვი. დაწესდა ცნობილი სპორტსმენების სახელობის თასების ტრადიციული გათამაშებანი: დუშეთში — შ. ნათელაშვილისა, ლანჩხუთში — ვ. ცინცაბაძისა, ონში — ქ. მაისურაძისა და სხვ.

აღინიშნა ისიც, რომ რიგი რაიონები, ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებები კვლავ არ ზრუნავენ სპორტკომიტეტის დადგენილების შესრულებისთვის. დავალება თავი ვერ გაართვეს ცხაკაიასა და მცხეთის ფიზკულტურის რაიონულმა კომიტეტებმა, რომლებსაც ადგილობრივი ცნობილი სპორტსმენების ნ. ესებუასა და ს. კანდელაკის სახელობის შეჯიბრებების გამართვა უნდა შემოეღოთ.

კოლეგიამ დასახა ღონისძიება ქართული ჭიდაობის განვითარებაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებების გამოსწორებისთვის.

სპორტკომიტეტის კოლეგიამ იმსჯელა რუსთავში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მასობრივ-ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის მდგომარეობაზე რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1977 წლის 2 ივლისის კრების გადაწყვეტილებათა შუქზე. ითქვა, რომ მეტალურგთა და ქიმიკოსთა ქალაქში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესებისათვის სათანადო მუშაობას ეწევიან. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მატერიალური ბაზის უზრუნველყოფას. ახლა აქ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით 76 მარტივი ტიპის ბაზაა. მარტო წლეულს 30 მოედანი მოეწყო.

ითქვა ისიც, რომ ამ საქმეში რუსთაველთა მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია: საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გაშლილ ფიზკულტურულ მუშაობაში ახალგაზრდობის მხოლოდ 1 პროცენტზე ცოტა მეტია ჩაბმული.

კოლეგიამ მოისმინა რესპუბლიკის ფიზკულტურულ კოლექტივებში სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისა და მშდ კომპლექსის მრავალჭიდში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზებზე საკავშირო ჩემპიონატის პირველი ეტაპის შეჯიბრებების მიმდინარეობის, მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადისთვის მზადების დასკვნით ეტაპზე საქართველოს ნაკრები გუნდების საქმიანობის საკითხები, იმსჯელა მძლეოსნობაში, ცურვაში, აკადემიურ, აგრეთვე, ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობაში, სპორტულ ტანვარჯიშში რესპუბლიკური ნაკრები კოლექტივების ხალხთა სპარტაკიადისთვის მზადების ამ ეტაპზე სამეცნიერო მეთოდური და სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად გაწეულ მუშაობაზე.

კოლეგიამ იმსჯელა, აგრეთვე, სსრ კავშირის სპორტის ოსტატებისა და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატების მომზადების საერთო გეგმის შესრულების მიმდინარეობაზე.

კოლეგიამ მოიწონა რესპუბლიკური სპორტკომიტეტის ორთაბრძოლების სამმართველოს ინიციატივა სოციალისტური ვალდებულებების ვადების შესახებ და წინადადება მისცა სხვა სამმართველოებსა და განყოფილებებს გამოეხმაურონ ამ ინიციატივას.



## ისევ საბჭოთა ველოსიპედისტები

**დამთავრდა** ველოსიპედისტთა საერთაშორისო მრავალდღიანი რბოლა „იუგოსლავიის ტური", რომელშიც, ისე, როგორც მშვიდობის ველორბოლაში, საბჭოთა ნაკრებმა იმარჯვა. ჩვენმა გუნდმა 1154 კილომეტრის გავლას 86 საათი, 50 წუთი და 39 წამი მოანდომა. II ადგილზეა პოლონეთის გუნდი, რომლის შედეგია 87:23.28.

საბჭოთა სპორტსმენებმა პირად ჩათვლაშიც იმარჯვეს. ა. პიკუუსმა პირველობა მოიგო — 28:53.07. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ს. ნიკიტენკო — 29:00.23, ა. ავერინი — 29:00.28 და ს. ჰუსეინოვი — 29:01.36.

## წყალში ხტომა

**ერევანში** დამთავრდა წყალში მხტომელთა საკავშირო ჩემპიონატი, რომელშიც ქართველი სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ. კოშკიდან ხტომაში ქალთა შორის მეექვსე ადგილი დაიკავა თბილისელმა ლ. ცოტაძემ, ხოლო ამავე სახეობაში ვაჟთა შორის მერვე იყო ს. შალიბაშვილი. ორივე სპორტსმენი საზოგადოება „განთიადის" წარმომადგენელია. სპორტსაზოგადოებათა შორის გუნდურ მეხუთე ადგილზე გავიდა „განთიადი", ხოლო ქალაქებს შორის შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი მეექვსე ადგილზეა.

## ცურვა

### ევროპის ჩემპიონი — მსოფლიო რეკორდსმენი

**ბერლინში** გდრ-ის მოცურავეთა ჩემპიონატზე მეორე დღეს თავისუფალი სტილით 100 მეტრზე ცურვაში ევროპის ჩემპიონმა, 18 წლის ბ. კრაუზემ იმავე სტილით 200 მეტრ დისტანციაზე 1 წუთი, 59,04 წამი აჩვენა, რაც 0,22 წამით აღემატება მისივე თანამემამულის მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის კ. ენდერის მსოფლიო რეკორდს. ამ შესანიშნავმა გერმანელმა მოცურავე ქალმა, როგორც ცნობილია, მონრეალის ოლიმპიადის შემდეგ დასტოვა დიდი სპორტი.

# ისვენებენ ცისკრელები

ეს ფოტოსურათები ჩვენმა კორესპონდენტმა პიონერულ ქალაქ „ცისკარში" გადაიღო.

მრავალფეროვანია პიონერული ზაფხული — შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობებში, ტურისტული ლაშქრობები, სამწყობრო სიმღერის კონკურსები და ბევრი სხვა საინტერესო ღონისძიებები ტარდება ცხვარიჭამიაში, სადაც საქართველოს პროფკავშირების ბანაკებია განლაგებული.

პიონერებს მრავალი შეხვედრა ელით მეზობელ ბანაკებთან შაშში, ჭადრაკში, ფრენბურთში და სხვ.

• • •

სურათებზე: ბანაკ „კოსმოსის" ნორჩი სპორტსმენები სპარტაკიადის საზეიმო გახსნისას; „ნაკადულის" ტურისტები ლაშქრობაზე; მხიარული ბავშვობა.

ა. კავკასიძის ფოტოები.









### მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადა

# სასწრაფო ღონისძიებაა საჭირო

**როცა** სოხუმის „დინამოს“ სასროლეთზე ჩატარებული შეჯიბრების შედეგებს ვაანალიზებთ, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ პროგრამის 10 ვარჯიშიდან წინა ტურნირთან შედარებით ახლა შედეგები ჩემპიონებმა მხოლოდ სამ ვარჯიშში გააუმჯობესეს. დანარჩენში საგრძნობი ჩამორჩენაა. მაგალითად, წოლელა მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლაში გოგონების შეჯიბრება ავიღოთ. წლევანდელმა ჩემპიონმა ლ. სტეპანენკომ (თბილისი) 579 ქულა მოაგროვა, ადრინდელ ჩემპიონს კი 12 ქულით უკეთესი მაჩვენებელი ჰქონდა, ან პნევმატური შაშხანის სროლაში ჭაბუკების ასპარეზობის შედეგები შევადაროთ. სოხუმში გამარჯვებულმა მასპინძელთა გუნდის წევრმა თ. ქოიავამ 400 შესაძლებლიდან 357 ქულა მოაგროვა, 10 ქულით ნაკლები, ვიდრე შარშანდელ ჩემპიონს ჰქონდა. ამ ვარჯიშში 3 სპორტის ოსტატობის კანდიდატი და 8 პირველთანრიგოსანი იბრძოდა უძლიერესის სახელისთვის, მაგრამ პირველი თანრიგი ვერავინ შეასრულა.

მცირეკალიბრიანი შაშხანის სტანდარტზე (3×20) სროლაში გოგონათა და ჭაბუკთა შორის ცეცხლის ხაზზე 2 სპორტის ოსტატი, 4 სპორტის ოსტატობის კანდიდატი და 12 პირველთანრიგოსანი შეგროვდა. როცა ტურნირი დამთავრდა, გაირკვა, რომ მხოლოდ ოთხი მათგანი შეწვდომოდა პირველი თანრიგის შესაბამის მაჩვენებელს.

რაშია საქმე, შედეგები რატომ გაუარესდა?

გაირკვა, რომ რესპუბლიკის განათლების სამინისტროს სპორტულ სკოლებსა და ჯგუფებში ამ სახეობის განვითარებას ჯერ კიდევ სათანადო ყურადღება არ ეთმობა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ საქართველოს მოზარდთა ნაკრების 22 კანდიდატიდან, რომლებიც ტაშკენტის სასპარტაკიადო სტარტებისთვის ემზადებიან, 17 „დინამოს“ ჯგუფებსა და სექციებში მეცადინეობს.

თბილისის განათლების განყოფილების ველოსპორტის, კრივისა და ტყვიის სროლის სპეციალიზებულ კომპლექსურ სპორტსკოლაში სროლის 12 ჯგუფი მუშაობს, შედეგი კი ძალზე მცირეა, იმდენად მცირე, რომ სათანადო ასაკის სპორტსმენებით გუნდის დაკომპლექტება ვერ შეძლეს, ამიტომაც მცირეკალიბრიანი პისტოლეტით მოასპარეზეთა შორის სასპარტაკიადო ასაკს კარგახნის გადაცილებული დ. ნასყიდაშვილი შეიყვანეს, რაც მსაჯთა კოლეგიას შეუმჩნეველი არ დარჩენია. ამ ვარჯიშში თბილისის გუნდმა იმდენი წააგო, რომ დანარჩენ 9 ვარჯიშში ხუთი გამარჯვების მიუხედავად საერთო ჯამში 11081 ქულით III ადგილს ვერ ასცდა. მას გაასწრეს აფხაზეთის ნაკრებმა (11278) და ქუთაისის გუნდმა (11452), რომელიც სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა.

თბილისის განათლების განყოფილების სპორტსკოლის აღსაზრდელებიდან რესპუბლიკურ ნაკრებში მხოლოდ ორი კანდიდატი ჩაირიცხა. ეს ძალიან ცოტაა. ქალაქის განათლების განყოფილებამ სკოლის საქმიანობის გაუმჯობესებისთვის გადამჭრელი ღონისძიება უნდა გაატაროს.

როცა სპეციალისტებთან ნაკრების გეგმებსა და პერსპექტივებზე ვსაუბრობდით, გაირკვა, რომ ტყვია-წამლის უკმარობის გამო სასწავლო-საწვრთნო შეკრების საკმარისი დროით გაგრძელება საეჭვოა, არც იარაღი ყოფნით. განსაკუთრებით პნევმატური პისტოლეტები.

გუნდში სხვა პრობლემებიცაა. მათ, ვისაც გუნდის საკავშირო სპარტაკიადისთვის მზადება ევალება, ეს კარგად იციან და იმ პრობლემების დასაძლევად თუ სასწრაფო ღონისძიებანი არ გატარდა, ტაშკენტიდან ჩვენი ტყვიის მსროლელები ვერაფერს ჩამოიტანენ, არა და, იქ, მოსწავლეთა სპარტაკიადაში მოპოვებულ ყოველ ქულას დიდი მნიშვნელობა აქვს. ტაშკენტის სტარტების საბოლოო შედეგები ხომ სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის ჩათვლაში გარკვეული კოეფიციენტით შედის.

სოხუმში გამართულ შეჯიბრებაში სულ ოთხი გუნდი (აჭარა, აფხაზეთი, თბილისი, ქუთაისი) მონაწილეობდა. (სხვები II ჯგუფში, ქუთაისში ცდიდნენ ძალას. აქ გორელებმა იმარჯვეს).

გთავაზობთ პირადი პირველობის ტექნიკურ შედეგებს.

**გოგონები. მცირეკალიბრიანი შაშხანა. წოლელა 60 გასროლა.** ლ. სტეპანენკო — 579, ნ. ალეინიკოვა (ორივე — თბილისი) — 574, მ. მურადიანი (აფხაზეთი) — 572; **სტანდარტი 3×20.** მურადიანი — 552, სტეპანენკო — 551, ვ. ბონდარენკო (აფხაზეთი) — 529; **მცირეკალიბრიანი პისტოლეტი. მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე სროლა.** ლ. ვასინა (აფხაზეთი) — 577, ნ. გოლეთიანი (ქუთაისი) — 566, ნ. კოსტოგრიზოვა (თბილისი) — 566.

**ჭაბუკები. მცირეკალიბრიანი შაშხანა. წოლელა 60 გასროლა.** ი. მარკოვი (თბილისი) — 582, ს. ბონდარევსკი — 580, თ. ქოიავა (ორივე — აფხაზეთი) — 574; **სტანდარტი 3×20.** ქოიავა — 557, თ. სალდაძე (ქუთაისი) — 552, მარკოვი — 544; **„გაქცეულ ტახზე“ სროლა.** ი. ჩაგანავა (თბილისი) — 353, ტ. გველესიანი (ქუთაისი) — 347, გ. ავაქოვი (თბილისი) — 328; **მცირეკალიბრიანი პისტოლეტი. 50 მეტრიდან სროლა.** კ. კოსმინინი (თბილისი) — 274, ი. ერმაკოვი (აჭარა) — 268, ს. სანაია (აფხაზეთი) — 260; **სილუეტებზე სროლა.** ვ. მაზანაშვილი (თბილისი) — 578, სანაია — 576, მ. ბედა (ქუთაისი) — 576; **პნევმატური შაშხანა.** ქოიავა — 357, სალდაძე — 351, მარკოვი — 346; **პნევმატური პისტოლეტი.** კოსმინინი — 363, მაზანაშვილი — 361, ავაქოვი — 359.

**ჯ. ქვარცხავა.**

## ასპარეზობენ მოსწავლეები

**„შრომითი** რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭოს საჭიდაო დარბაზში ჩატარდა პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების XXIX რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში. 20 მოასპარეზე გუნდს შორის გაიმარჯვეს თბილისის მეხუთე პროფტექნიკური სასწავლებლის სპორტსმენებმა (მწვრთნელი ი. ნიკოლაძე). II ადგილზე გამოვიდნენ ქუთაისის მეოთხე სასწავლებლის, ხოლო მესამეზე სურამის მეთოთხმეტე პროფსასწავლებლის მოჭიდავეები. „შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭოს ჩემპიონები წონითი კატეგორიების მიხედვით გახდნენ: გ. თავაძე (სამტრედია), ს. ბზარაშვილი (თბილისი), გ. შეყილაშვილი (სურამი), გ. გოგრიჭიძე, ს. მარღიშვილი (ორივე — თბილისი), ვ. ცხოვრებაძე (სურამი), დ. ზაალიშვილი, მ. რაზმაძე (ორივე — თბილისი), ბ. ბოლქვაძე (ბათუმი), ა. მაისურაძე (რუსთავი), ზ. ენუქიძე, ა. ჩარგელიშვილი (ორივე — ქუთაისი).

**ბ. ბარჯაძე.**

**ჩვენებიან სახიერით**

### სამტრედია

სამტრედიის „ლოკომოტივის“ სტადიონზე ჩატარდა რაიონის სკოლების პირველობა მშდ მრავალჭიდში. სოფლის სკოლების ტურნირში ილორელებმა იმარჯვეს. ქალაქის სკოლების შეჯიბრება მეორე საშუალო სკოლის ნაკრებმა მოიგო. რვაწლიან სკოლებში ყველას აჯობეს გომელებმა.

**ი. ნიკოლეიშვილი.**

**როგორც** ცნობილია, მზადება მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშებისათვის თავის უმაღლეს ფაზაში შევიდა. ეს გასაგებიცაა, თუ გავიხსენებთ, რომ მსოფლიოს სპორტსმენთა ამ დიდ ფორუმამდე 2 წელზე ცოტა მეტი რჩება. მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების პროცესში, ბუნებრივია, სერიოზული ყურადღება ეთმობა ოლიმპიური იდეების, თამაშების ისტორიისა და, განსაკუთრებით, მოსკოვის თამაშებისადმი მზადების ძირითადი მომენტების სწორ გაშუქებასა და პროპაგანდას.

ჩვენი რესპუბლიკის პროპაგანდისტებმა უკვე დაიწყეს ამ დიდი ღონისძიებისადმი მიძღვნილი ლექცია-საუბრების ჩატარება, მაგრამ ჩვენი ლექტორების, განსაკუთრებით კი, რაიონებში მომუშავე ლექტორების სალექციო ტექსტებში შეიმჩნევა მასალების სიღარიბე, მთელ რიგ რაიონებში კი, როგორც ეს ცნობილი ხდება საქართველოს საზოგადოება „ცოდნის“ მიერ მოწოდებული მასალებით, ჯერ კიდევ არ დაუწყიათ ამ დიდი სპორტული ღონისძიების პროპაგანდა.

„ლელოს“ რედაქციამ გადაწყვიტა გამოაქვეყნოს თეზისები მოხსენებისა „მოსკოვი — 80“, რაც საშუალებას მისცემს ჩვენს საზოგადოებრივ ლექტორებს, ფიზკულტურული მოძრაობის აქტივისტებს, სტრუქტურულად და შინაარსობრივად სწორად ააგონ თავიანთი ლექცია.

თეზისების ავტორია საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ფიზკულტურის ისტორიისა და ორგანიზაციის კათედრის გამგე, დოცენტი **ავთანდილ ციბაძე.**

### ოლიმპიური თამაშები ძველ საბერძნეთში

ოლიმპიურ თამაშებს ძველ საბერძნეთში ჩვენს წელთაღრიცხვამდე 776 წელს ჩაეყარა საფუძველი, ხოლო 394 წელს (ჩვენი წელთაღრიცხვით) აიკრძალა ქრისტიანობის ერთგული ბიზანტიელი იმპერატორის თეოდოსეს მიერ, როგორც ქრისტიანული იდეოლოგიისათვის შეუთავსებელი ღონისძიება. მისი ჩატარებისათვის შერჩეული იყო ადგილი სოფელ ოლიმპიასთან, პელოპონესის ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთით. აქ, სამლოცველო და თეატრალურ ნაგებობებთან ერთად ერთ-ერთი ძირითადი ადგილი ეკავა სპორტულ ბაზებს, დამატებით სათავსოებს, წყლის პროცედურების მისაღებ ნაგებობებს და ა. შ.

ძველი ოლიმპიური თამაშების ქარტიის თანახმად შეჯიბრებაზე დაიშვებოდნენ მხოლოდ ბერძნები (შემდეგში ეს შეზღუდვა რამდენადმე შერბილდა), საზოგადოების გაბატონებული და ე. წ. „თავისუფალი“ წარმომადგენლები, რომლებიც ჩამოიტანდნენ იმის დამადასტურებელ ცნობას, რომ წლის მანძილზე ეწეოდნენ სისტემატურ წვრთნას ადგილებზე; ქალთათვის ოლიმპიური სტადიონის კარები მყარად იყო ჩაკეტილი. სტადიონზე შეპარულ ქალს სიკვდილი ელოდა, რამდენადაც ათლეტები თამაშებზე აბსოლუტურად შიშველნი გამოდიოდნენ და ამ დედიშობილა ადამიანებში ქალის ყოფნა, ბუნებრივია, დანაშაულად იყო მიჩნეული.

გამარჯვებულთა დაჯილდოება ხდებოდა მეტად მისტიკურ და სიმბოლიკურ სიტუაციაში დაფნის გვირგვინით, მაგრამ სპორტსმენებისათვის მთავარი მაინც იყო ის სახელი და დიდება, რასაც მათ მიაგებდნენ.

ძველი ოლიმპიური თამაშები დიდ როლს თამაშობდა ბერძენთა პოლიტიკურ, ეკონომიურ და სპორტულ ძლიერებაში, ამასთან, იგი ხელს უწყობდა ზავის ჩამოგდებას ბერძნულ ტომებს შორის.

### განახლებული ოლიმპიური თამაშები (1896-1948 წ.წ.)

მართალია, ყველა ოლიმპიადა, რომელიც 1896 წლიდან ჩატარდა, განახლებული ოლიმპიზმის პერიოდს ეკუთვნის, მაგრამ საბჭოთა სპორტსმენების მონაწილეობამდე ჩატარებულ თამაშებზე ცალკე უნდა შევჩერდეთ, რამდენადაც ჩვენი ქვეყნის ჩაბმა ოლიმპიურ მოძრაობაში უკვე განსაკუთრებული მოვლენა იყო.

აი, სად და როდის ჩატარდა ისინი: I თამაშები — 1896 წ., ათენი; II — 1900 წელი, პარიზი; III — 1904 წელი, სენტ-ლუისი; IV — 1908 წელი, ლონდონი; V — 1912 წელი, სტოკჰოლმი; VII — 1920 წელი, ანტვერპენი, VIII — 1924 წელი, პარიზი; IX — 1928 წ., ამსტერდამი; X — 1932 წ., ლოს-ანჯელესი; XI — 1936 წ., ბერლინი, XIV — 1948 წ., ლონდონი. პირველი და მეორე მსოფლიო ომების მიზეზით არ ჩატარებულა VI თამაშები 1916 წელს, XII თამაშები 1940 წელს და XIII თამაშები 1944 წელს.

ცხადია, ლექტორს არ ექნება იმის შესაძლებლობა, რომ დაწვრილებით ილაპარაკოს ყველა ოლიმპიადაზე, მაგრამ ზოგიერთ მომენტზე შეჩერება აუცილებელია; ასეთებია: განახლებული ოლიმპიური თამაშების ფუძემდებლის პიერ დე კუბერტენის მიერ 1894 წელს ოლიმპიური კომიტეტის შექმნა და ამით ოლიმპიზმის ისტორიის ახალი ერის დაწყება, საბერძნეთის გუნდის წარმატება პირველ თამაშებზე, მეფის რუსეთის სპორტსმენები IV და V თამაშებზე, მათი მარცხიანი გამოსვლების პოლიტიკური და ეკონომიური მიზეზები, ემბლემიანი ოლიმპიური ალმის ამართვა 1920 წელს ანტვერპენში (სხვათა შორის, ეს ალამი აღიმართა ჯერ კიდევ 1914 წელს ოლიმპიური კომიტეტის შექმნის 20 წლისთავისადმი მიძღვნილ მცირე ოლიმპიადაზე), ფაშისტური მთავრობის საქმიანობა ბერლინის XI ოლიმპიური თამაშების ჩატარების პროცესში.

შესაძლებლობის ფარგლებში ლექტორმა მოკლედ უნდა დაახასიათოს ისეთი დიდი ოლიმპიელების სპორტული გზა, როგორებიც იყვნენ ბერძენი ლუისი, ამერიკელები ოუენსი და ვაისმიულერი, ფინელი ნურმი და სხვ.

ეს ციფრები [illegible] ბევრის მთქმელია და ლექტორს ბევრი საგულისხმო დასკვნის გაკეთების საშუალებას აძლევს; განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი იმას, რომ ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა ქვეყნის მონაწილეობამ მეტი დემოკრატიზმი შეიტანა ოლიმპიურ მოძრაობაში. გარდა ამისა, ოლიმპიურ არენაზე ასეთი ძლიერი სპორტული ქვეყნის გამოჩენამ თავისთავად გაამძაფრა და უფრო საინტერესო გახადა სპორტული პაექრობა. ოლიმპიურ თამაშებში სისტემატურად წარმატებით გამოსვლა გადაიქცა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების დემონსტრაციად. შეუნიშნავი არ უნდა დაგვრჩეს ის ფაქტიც, რომ ბოლო ოლიმპიურ თამაშებში (მონრეალი) აშშ-ს გუნდს გაუსწრეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენებმაც, რაც სოციალისტური ბანაკის დიდ წარმატებებზე მიუთითებს; მონრეალის თამაშებში მონაწილე პირველი 10 პრიზიორიდან 6 ქვეყანა სოციალისტურია.

### საქართველოს სპორტსმენთა წვლილი საბჭოთა ოლიმპიური გუნდის წარმატებაში

ამ შემთხვევაშიც ლექტორს დასჭირდება მრავლისმეტყველი ციფრობრივი მასალის მოშველიება. აი, როგორ გამოიყურება საქართველოს ოლიმპიელთა შედეგები:

**XV თამაშებში საქართველოს 15 სპორტსმენი მონაწილეობდა. მათ 8-3 ოქროსა და ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს და 29,2 ქულა მიიღეს.**

**XVI ოლიმპიადაში ეს ციფრები ასე გამოიყურება — 10; 2; 0; 6; 31,8.**

### სპორტის პროპაგანდისტ-ლექტორთა დასახმარებლად

# „მოსკოვი - 80“

### საბჭოთა სპორტსმენები ოლიმპიურ თამაშებზე

ამ შემთხვევაში ლექტორს სათანადო დახმარებას აღმოუჩენს ქვემოთმოყვანილი მონაცემები, რომლებიც საერთო წარმოდგენას იძლევიან ოლიმპიადის მთავარი მეტოქეების საბჭოთა კავშირისა და აშშ-ს ოლიმპიური გუნდების ძალთა თანაფარდობის შესახებ:

**ჰელსინკის XV ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა სპორტსმენებმა მოიპოვეს 22 ოქროს, 30 ვერცხლისა და 19 ბრინჯაოს მედალი და სულ 494 ქულა მოაგროვეს, ამერიკელებმა შესაბამისად — 40; 19; 17; 494 ქულა;**

**მელბურნის XVI თამაშებში ძალთა შეფარდება ასეთი იყო: სსრ კავშირი — 37 ოქროს მედალი, 29 ვერცხლის ჯილდო და 32 ბრინჯაოს მედალი, სულ — 622,5 ქულა; ამერიკის შეერთებული შტატები — 23; 25; 17; 424,5 ქულა.**

**რომის XVII ოლიმპიური თამაშები: სსრ კავშირი — 43; 29, 31 და 682,5 ქულა. აშშ — 34; 21; 16 და 463,5.**

**ტოკიოს XVIII ოლიმპიადა. სსრ კავშირი — 30; 31, 35. სულ 607,8 ქულა. აშშ — 36; 26; 28 და 580,8.**

**მეხიკოს XIX ოლიმპიადა. სსრ კავშირი — 29; 27; 34 და 591,5 ქულა. აშშ — 45; 32; 30 და 709 ქულა.**

**მიუნხენის XX ოლიმპიური თამაშები. სსრ კავშირი — 50; 27; 22; 665,5 ქულა. აშშ — 33; 30; 29 და 636,5.**

**მონრეალის XXI ოლიმპიადა. სსრ კავშირი — 47; 43; 35 და 788,5 ქულა. აშშ — 34; 35; 25 და 608,75.**

**უკანასკნელი 7 ოლიმპიადის მანძილზე საბჭოთა სპორტსმენებმა 250 ოქროს მედალი მოიგეს, ამერიკელებმა — 5 მედლით ნაკლები, საბჭოთა სპორტსმენებმა 216 ვერცხლისა და 208 ბრინჯაოს მედალი მიიღეს, ამერიკელებმა შესაბამისად 188 და 162. ქულათა შეფარდება ასეთია — 4452,3: 3617,05.**

**XVII ოლიმპიურ თამაშებში ჩვენი რესპუბლიკის 16 წარგზავნილის წილად მოდის 2 ოქროს, 5 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი და ერთი სპორტსმენი ექვსეულში შევიდა. სულ 29,3 ქულა.**

**XVIII ოლიმპიადა. 18; 2; 4; 5; 5; 43,7.**

**XIX თამაშები. 15; 2; 2; 2; 3; 32,6.**

**XX თამაშები — 16; 6; 1; 4; 4, 44,2.**

**XXI თამაშები — 7; 3; 1; 2; 2; 23,4.**

**სულ შვიდი ოლიმპიადის მანძილზე საბჭოთა კავშირის ოლიმპიურ ნაკრებში საქართველოს 97 სპორტსმენი გამოდიოდა, რომლებმაც 20 ოქროს, 16 ვერცხლისა და 24 ბრინჯაოს მედალი მოიგეს, ხოლო 13 სპორტსმენი ექვსეულში შევიდა. ყველამ ერთად მოაგროვა 233,7 ქულა.**

**ლექტორმა** გარკვეული წილი უნდა მიუზღოს ჩვენს ჩემპიონებს — დავით ციმაკურიძეს, მზია ჯუღელს, რაფაელ ჩიმიშკიანს (XV თამაშები), გივი კარტოზიას, მირიან ცალქალამანიძეს (XVI თამაშები), რობერტ შავლაყაძეს, ავთანდილ ქორიძეს (XVII თამაშები), ნუგზარ ასათიანს, ვაჟა კაჭარავას (XVIII თამაშები), რომან რურუას, ვიქტორ სანეევს (XIX თამაშები), ლევან თედიაშვილს, შოთა ჩოჩიშვილს, ზურაბ საკანდელიძეს, მიხეილ ქორქიას, ვიქტორ კრატასიუკს (XX თამაშები), ა. ანპილოგოვს (XXI თამაშები). აქვე განსამარტია ის ფაქტი, რომ ვ. სანეევმა ჩემპიონის ტიტული დაისაკუთრა ბოლო ორ თამაშებშიც, ლ. თედიაშვილმა კი მეორედ, ბოლო ოლიმპიადაზე.

ლექტორმა მოკლედ უნდა ისაუბროს ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა ამ წარმატებების საფუძველზე — საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობისადმი პარტიისა და მთავრობის ზრუნვაზე, სპორტის მასობრიობაზე, მაღალ სპორტულ კულტურაზე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი

# კარგი მატჩი და...

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 1 ივლისი.

„დინამო“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 2:0 (0:0).

„დინამო“: გოგია, რუხაძე, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, გ. მაჩაიძე, დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი (ჩელებაძე), შენგელია (ჩივაძე).

„ლოკომოტივი“: იანოვსკი, ხუდიევი, ოვჩინიკოვი, კამზულინი, შელესტი (დეგტიარევი), რიახოვსკი, პეტრაკოვი, ილინი, დანილენკო (ნიკიფორენკო), ავერიანოვი, გაზაევი.

მსაჯი ი. სერგიენკო (ხარკოვი).

გოლები — ჩელებაძე (48-ე და მე-80 წუთები).

გაფრთხილებული და მინდვრიდან გაძევებულია კანთელაძე, გაფრთხილებულია ნიკიფორენკო.

მატჩი არც თუ დიდი ხნის დაწყებული იყო, როცა ტრავმის გამო მინდორი დატოვა ყიფიანმა, მანამდე კი რკინიგზელთა კარი სულ ცოტა ექვსჯერ მაინც გადაურჩა გოლს — თავგანწირულად ითამაშა მეკარე იანოვსკიმ.

ყველაფერი, რომ იტყვიან, თავისი გზით მიდიოდა — ამგვარ შეტევებს არ შეიძლებოდა გოლი არ მოჰყოლოდა, მაგრამ იძულებითმა ცვლილებამ დინამოელთა თამაშს ხზარი დაატყო. დაირღვა რგოლებს შორის გაბმული ძაფი, რასაც უადგილო ნერვიულობაც დაემატა. თუმცალა, ესეც სავსებით გასაგები იყო. საქმე ის არის, რომ მეტად საჭირო ორი ქულის გარდა, „დინამოს“ რკინიგზელებთან თავისი ანგარიშებიც ჰქონდა გასასწორებელი (წლევანდელ ორ შეხვედრაში თასზე „ლოკომოტივმა“ შეძლო საერთო უპირატესობის მოპოვება). რა თქმა უნდა, შესვენებაზე თბილისელებს უსიამო ფიქრები გაჰქონდათ. და კიდევ ერთი. მიუხედავად იმისა, რომ რიგი ფეხბურთელების არყოფნის გამო საკმაოდ შეცვლილი „დინამოს“ დაცვის ფლანგები დამატებით საზრუნავს აჩენდა, გ. მაჩაიძემ და რუხაძემ ძალზე კარგად ითამაშეს.

ბუნებრივია, „ლოკომოტივი“ ის მეტოქე არ არის, გუნდის თამაშის კლასის საზომად რომ გამოდგეს, მაგრამ მაინც უნდა ითქვას: ამ მატჩში მრავლად დაიძებნება პერიოდები, სადაც თბილისელებმა მათი მდგომარეობისა და ჩვენი სახვალიო იმედის შესაფერი ფეხბურთი აჩვენეს. განსაკუთრებული შთაბეჭდილება კი ეკონომიური, სწრაფი და გამიზნული თამაშით ნახევარდაცვამ მოახდინა.

კიდევ ერთი ტური და ჩემპიონატი ფინიშისკენ მოუხვევს. უკვე აშკარაა, რომ ამ მონაკვეთზე „დინამოს“ შარშანდელზე უკეთესი მაჩვენებლები ექნება. ისიც ცხადია, რომ ჩემპიონობის ერთ-ერთმა მთავარმა პრეტენდენტმა კიევის „დინამომ“ ვერა და ვერ აუბა მხარი ჩვენს გუნდს — სტარტზე მოპოვებული საკმაოდ სოლიდური, ოთხქულიანი დისტანცია ხელუხლებლად არის შენარჩუნებული. რა თქმა უნდა, არც „შახტიორი“ არის კიევის „დინამო“ და არც „ჩერნომორეცი“, მაგრამ თბილისელებს მაინც სიფრთხილე მართებთ, მით უმეტეს, რომ ჯერ არც მოსკოვის „დინამოს“ დაუყრია ფარ-ხმალი.

სიფრთხილეში სრულებითაც არ ვგულისხმობთ პასიურად, ზედმეტად ანგარიშიანად თამაშს. პირიქით, ფეხბურთელებმა სწორედ ახლა უნდა მოუხმონ გადანახულ რესურსებს — მეორე წრე ხომ გაცილებით ძნელი იქნება. უბრალოდ, გუნდს უნდა ახსოვდეს, რომ თითოეული ფეხბურთელის ერთმა გაუფრთხილებლობამაც კი შეიძლება მოუბრუნებლად გააფუჭოს საქმე.

ზოგრი ვერაფერი სასიამოვნო სასაუბროა, მაგრამ მხოლოდ თავს მოვიტყუებთ, თუ 1 ივლისის მატჩში მომხდარ ერთ სერიოზულ ფაქტს გავუჩუმდებით. ამ მართლაც კარგად ნათამაშევ მატჩს კი ჩრდილი მიაყენა და ალბათ შემდეგ შეხვედრებშიც გაგვახსენებს თავს კანთელაძის გაძევება.

დავიწყოთ იმით, რომ თვით სიტყვა „გაძევება“ თავისთავად შეურაცხმყოფელია სპორტსა თუ სხვა ნებისმიერ სფეროში მოღვაწე კაცისთვის. მეორე ის არის, რომ დაცვას უდროო დროს გამოაკლდა კიდევ ერთი წევრი, არადა, მისი რიგები სხვადასხვა მიზეზით ისედაც შეთხელებულია. უბრალოდ რომ ვთქვათ, კოლექტივი დაზარალდა. დაზარალდა მატერიალურადაც და მორალურადაც.

რა თქმა უნდა, კანთელაძის მიმართ მეტისმეტი საყვედურები სწორი არ იქნებოდა. იგი წლევანდელ სეზონში კარგად და, რაც მთავარია, გულიანად თამაშობს. ეს ყველა მატჩში იგრძნობა. სწორი არ იქნებოდა ერთი მიზეზის გამოც: ადევნეთ თვალი ნებისმიერ მატჩში მცველთა მოქმედებას და დარწმუნდებით, რომ თამაშის წესების დარღვევათა რაოდენობა თბილისელთა სტოპერს არამც და არამც არა აქვს საშუალო მაჩვენებელზე მეტი. მაშ, რა? საქმე ის არის, რომ კანთელაძის ნებისმიერი ფოლი ძალზე „კარგად ჩანს“. რომ იტყვიან, ზოგისა ზამბა ჩხრიალებს, ზოგისა კაკალიც არაო.

თქმა არ უნდა, უხეშობა გასაკიცხია, არადა კანთელაძე არც მათი რაოდენობითა და არც მისი შედეგებით არ გამოირჩევა. ეს არის, მათი გარეგნული, ვიზუალური სახეა აშკარად გამოხატული და მიუღებელი.

სამი გაფრთხილება და ერთი გაძევებაც მხოლოდ და მხოლოდ ამის შედეგია. აი, ამ მიმართებით უთუოდ რაღაც უნდა მოიფიქრონ თვით სპორტსმენმა, მისმა მეგობრებმა და გუნდის ხელმძღვანელობამ.

ი. ბერიაშვილი.

* * *



სურათზე: ვ. დარასელია (მარჯვნივ) ბურთისთვის ბრძოლაში.

გ. დოლენჯაშვილის ფოტო.

## უმაღლესი ლიგა

1 ივლისს შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი, XIV ტურის კალენდარული შეხვედრები.

„შახტიორი“ — „ზენიტი“ 1:0

„დნეპრი“ — „ტორპედო“ 2:0

„ზარია — „არარატი“ 1:0

„დინამო“ კ. — „ფახთაქორი“ 2:2

„დინამო“ მ. — „ნეფთჩი“ 1:0

„ჩერნომორეცი“ — ცსკა 4:0

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 4 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ თბ. | 14 | 9 | 3 | 2 | 18—10 | 21 |
| „ჩერნომორ.“ | 14 | 8 | 4 | 2 | 23—10 | 20 |
| „შახტიორი“ | 13 | 9 | 1 | 3 | 17—9 | 19 |
| „დინამო“ კ. | 14 | 5 | 7 | 2 | 20—10 | 17 |
| ცსკა | 14 | 7 | 2 | 5 | 16—17 | 16 |
| „დინამო“ მ. | 13 | 6 | 4 | 3 | 17—11 | 16 |
| „ზენიტი“ | 14 | 4 | 6 | 4 | 16—18 | 14 |
| „ზარია“ | 14 | 5 | 3 | 6 | 17—16 | 13 |
| „ტორპედო“ | 14 | 4 | 5 | 5 | 15—14 | 13 |
| „სპარტაკი“ | 14 | 5 | 2 | 7 | 19—21 | 12 |
| „ფახთაქორი“ | 14 | 4 | 4 | 6 | 21—20 | 12 |
| „ქაირათი“ | 14 | 4 | 4 | 6 | 13—20 | 12 |
| „ნეფთჩი“ | 14 | 4 | 3 | 7 | 11—15 | 11 |
| „ლოკომოტ“. | 14 | 3 | 5 | 6 | 12—19 | 11 |
| „არარატი“ | 14 | 3 | 2 | 9 | 6—21 | 8 |
| „დნეპრი“ | 14 | 3 | 1 | 10 | 11—21 | 7 |

ფეხბურთი

## I ლიგა

# ფრე — ლიდერთან

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 2 ივლისი.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 1:1 (1:0).

„ტორპედო“: მჭედლიძე, ზ. სვანაძე, თევზაძე, მელიქია, ფარულავა (თ. სვანაძე), ოქროპირაშვილი, ფოფხაძე, ქვირია (კვერნაძე), ფესტვენიძე, ძეზისაშვილი, ხუცურაული.

„კრ. სოვეტოვი“: ლისენჩუკი, პავლოვი, ბიტკინი, აბრამოვი (იაპრინცევი), არუთინიანი, პანფილოვი, გაინუტდინოვი, ხიზგატულინი, კუპრიანოვი, პილიპკო (ელისეევი), ფეტისოვი.

მსაჯი ი. სერგიენკო (ხარკოვი).

დუბლიორები — 0:0.

სულ ცოტა ხნის წინ ქუთაისის გუნდს საუკეთესო სატურნირო მდგომარეობა ჰქონდა I ლიგაში: იგი ლიდერთა ჯგუფში იყო, მაგრამ 3 გასვლითმა მატჩმა კემეროვოში, სვერდლოვსკსა და კრასნოდარში 3 წაგება მოუტანა ტორპედოელებს და სამივე ერთნაირი, მინიმალური ანგარიშით — 0:1. ახლა საჭირო იყო ბრძოლა დასახული მიზნის მისაღწევად და უპირველეს ყოვლისა საპასუხისმგებლო შეხვედრაში გათამაშების ლიდერთან — კუიბიშევის „კრილია სოვეტოვთან“.

ტორპედოელებმა აქტიურად, სწრაფად და ტემპიანად დაიწყეს თამაში, შეტევა შეტევას ცვლიდა, სტუმრები თავგამოდებით იცავდნენ თავს, ზოგჯერ უხეშობდნენ კიდეც. ერთ-ერთ მომენტში ხელსაყრელ ვითარებაში აღმოჩნდა თევზაძე, მაგრამ მისი დარტყმა ასცდა კარს. შემდეგ, მე-14 წუთზე, ქვირია პირისპირ დარჩა მეკარე ლისენჩუკთან და გაუშვა ხელიდან ანგარიშის გახსნის რეალური შანსი, რამდენიმე წუთის მერე ლისენჩუკმა შეძლო ფარულავას ძლიერი დარტყმის მოგერიება.

„ტორპედომ“ წარმატებას მიაღწია 36-ე წუთზე, როცა ფესტვენიძე სწრაფად გავიდა მოპირდაპირე მცველებს შორის და ზუსტად დაარტყა მიზანში — 1:0.

რამდენიმე იერიში კუიბიშეველებმაც განახორციელეს, მაგრამ ტაიმი მთლიანად მასპინძელთა საგრძნობი უპირატესობით მიმდინარეობდა.

შესვენების შემდეგ „კრილია სოვეტოვმა“ მთელი ძალები წინ გადაისროლა, სრული შესაძლებლობით შეუტია და ტორპედოელებს დაცვაზე მოუხდათ ზრუნვა. რამდენიმე სახიფათო მომენტის შემდეგ ვოლგელებმა შეძლეს საპასუხო ბურთის გატანა. ეს 65-ე წუთზე გააკეთა ელისეევმა.

დარჩენილ დროში ორივე გუნდი ბევრს ეცადა, მაგრამ ცვლილება ანგარიშში აღარ მომხდარა.

ზ. ნიჟარაძე.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

### სხვა მატჩები

დამთავრდა ასეთი შედეგებით: ასკ (დონის როსტოვი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 3:1, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 0:0, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 2:1, „შინიკი“ (იაროსლავლი) — ასკ (ოდესა) 1:0, „დინამო“ (ლენინგრადი) — „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) 1:0, „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) 1:1, „კარპატი“ (ლვოვი) — „დინამო“ (მინსკი) 2:0, „პამირი“ (დუშანბე) — „თერგი“ (გროზნო) 2:2, „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 2:.0

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 4 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კრ. სოვ.“ | 19 | 10 | 6 | 3 | 25—14 | 26 |
| ასკ რ. | 19 | 8 | 9 | 2 | 33—17 | 25 |
| „კარპატი“ | 18 | 10 | 4 | 4 | 26—14 | 24 |
| „ყუბანი“ | 19 | 9 | 5 | 5 | 26—16 | 23 |
| „დინ.“ მნ. | 18 | 8 | 6 | 4 | 26—19 | 22 |
| „ნისტრუ“ | 19 | 8 | 6 | 5 | 26—19 | 22 |
| „ტორპედ.“ | 19 | 8 | 5 | 6 | 24—20 | 21 |
| „ტავრია“ | 19 | 7 | 7 | 5 | 25—18 | 21 |
| „თერგი“ | 19 | 8 | 4 | 7 | 27—27 | 20 |
| „კუზბასი“ | 19 | 8 | 4 | 7 | 21—21 | 20 |
| „სპ.“ ი.-ფ. | 19 | 8 | 2 | 9 | 22—30 | 18 |
| „ჟალგირ.“ | 18 | 4 | 10 | 4 | 20—19 | 18 |
| „პამირი“ | 19 | 4 | 10 | 5 | 19—18 | 18 |
| „მეტალ.“ | 19 | 4 | 8 | 7 | 18—26 | 16 |
| ასკ ოდ. | 19 | 5 | 5 | 9 | 20—26 | 15 |
| „ურალმ.“ | 19 | 5 | 5 | 9 | 13—23 | 15 |
| „შინიკი“ | 16 | 4 | 6 | 6 | 11—16 | 14 |
| „დინ.“ ლ. | 19 | 3 | 8 | 8 | 21—31 | 14 |
| „კოლხოზ.“ | 19 | 4 | 5 | 10 | 17—29 | 13 |
| „სპარ.“ ორ. | 19 | 3 | 3 | 13 | 13—30 | 9 |

## მსოფლიო ჩემპიონატის ირგვლივ

**მსოფლიოს** XI საფეხბურთო ჩემპიონატზე არგენტინაში გატანილი იქნა 102 ბურთი. უფრო შედეგიანი იყო მხოლოდ 2 ჩემპიონატი: 1954 წელს შვეიცარიაში (140) და 1958 წელს შვეციაში (126).

**ჩემპიონატის** საუკეთესო ბომბარდირია არგენტინელი მარიო კემპესი (6 გოლი), რომელსაც გადაეცა ფინალური ტურნირის „ოქროს ბუცი“. ჰოლანდიელმა რობი რენსენბრინკმა და პერუელმა თეოფილო კუბილასმა გაიტანეს 5-5 ბურთი.

**მსოფლიო** ჩემპიონატების ისტორიაში მესამედ დაინიშნა დამატებითი დრო ფინალურ მატჩში. სამივე შემთხვევაში ფინალში თამაშობდნენ ტურნირის მასპინძლები, რომლებიც იმარჯვებდნენ კიდეც. 1934 წელს რომში იტალიისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდების ფინალური მატჩი დამთავრდა ანგარიშით 1:1 და იტალიელებმა დამატებით დროში გაიტანეს გადამწყვეტი ბურთი. 1966 წელს ლონდონში (ინგლისი — გფრ) 90 წუთი დამთავრდა ფრედ — 2:2, დამატებით დროში ინგლისელებმა გაიტანეს 2 ბურთი.

**არგენტინის** მსოფლიო ჩემპიონატში ყველა გუნდის საბოლოო ციფრობრივი მაჩვენებლები ასეთია:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 7 | 5 | 1 | 1 | 15—4 | 11 |
| ჰოლანდია | 7 | 3 | 2 | 2 | 15—10 | 8 |
| ბრაზილია | 7 | 4 | 3 | 0 | 10—3 | 11 |
| იტალია | 7 | 4 | 1 | 2 | 8—5 | 8 |
| პოლონეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 6—6 | 7 |
| ავსტრია | 6 | 3 | 0 | 3 | 7—10 | 6 |
| გფრ | 6 | 1 | 4 | 1 | 10—5 | 6 |
| პერუ | 6 | 2 | 1 | 3 | 7—12 | 5 |
| ტუნისი | 3 | 1 | 1 | 1 | 3—2 | 3 |
| ესპანეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 3—2 | 3 |
| შოტლანდია | 3 | 1 | 1 | 1 | 5—6 | 3 |
| საფრანგეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 5—5 | 2 |
| შვეცია | 3 | 0 | 1 | 2 | 1—3 | 1 |
| ირანი | 3 | 0 | 1 | 2 | 2—8 | 1 |
| უნგრეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 3—8 | 0 |
| მექსიკა | 3 | 0 | 0 | 3 | 2—12 | 0 |

## ჭადრაკი

### ორხელისუფლებიანობა

**დაუგავპილსი,** 3 ივლისი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ გრძელდება სსრ კავშირის ვაჟთა 46-ე ჩემპიონატის მასობრივი შესარჩევი ტურნირი. გათამაშდა კიდევ ორი (III, IV) ტური.

III ტურში საქართველოს ჩემპიონი გ. ზაიჩიკი დაუზავდა ბელორუსიის ჩემპიონს ოსტატ ა. კაპენგუტს, დიდოსტატი ე. გუფელდი — რიაზანელ ოსტატ დ. გოდესს. დამარცხდნენ ოსტატი ზ. სტურუა და ოსტატობის კანდიდატი დ. გედევანიშვილი: პირველი — ალმაათელ ოსტატ ე. ვლადიმიროვთან, მეორე — კიეველ ოსტატ ვ. პერესიპკინთან.

IV ტურში სტურუა შეხვდა როსტოველ ოსტატ გ. ხოდოსს და სძლია მას. ყაიმზე შეთანხმდნენ გედევანიშვილი — ოსტატი ა. პეტროსიანი (ერევანი), გუფელდი — დიდოსტატი ვ. ცეშკოვსკი (ომსკი). ზაიჩიკი დამარცხდა საერთაშორისო ოსტატ ს. პალატნიკთან (ოდესა).

ლიდერობენ ოსტატები — მოსკოველი ვ. არბაკოვი და ლენინგრადელი ვ. ფაიბისოვიჩი — 3,5-3,5 ქულა.

ე. გუფელდი,

საერთაშორისო დიდოსტატი.

## მშვილდოსნობა

**კლაიპედაში** ჩვენი ქვეყნის 30 ქალაქის 114 მშვილდოსანი შეგროვდა საკავშირო ჩემპიონატის მედლების გასანაწილებლად.

ლვოველმა ვ. კოვპანმა 60 მეტრიდან სროლაში 334 ქულა მოაგროვა და 2 ქულით გააუმჯობესა მსოფლიოს ექს-ჩემპიონის ზ. რუსტამოვას მიერ დამყარებული ადრინდელი მიღწევა.

ორი სახეობის შემდეგ ქალთა შეჯიბრებას კოვპანი ლიდერობს, რომელსაც 640 ქულა აქვს. მომდევნო ადგილებზე არიან ტაშკენტელი მსოფლიო რეკორდსმენი ნ. ბუტუზოვა (635) და მისი თანაქალაქელი, ევროპის ჩემპიონი ო. როგოვა, რომელსაც 620 ქულა აქვს.

ვაჟთა შორის ორი დისტანციის მერე წინ არის ჩიტელი ვ. ეშეევი. ამ 20 წლის იუნიორმა 614 ქულა მოაგროვა, 10 ქულით მეტი, ვიდრე ოდესელ გ. კირიჩენკოს აქვს.

## ხელბურთი

**კიევში** დამთავრდა უმაღლესი ლიგის ხელბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატი. ჩემპიონის ოქროს მედლები მეათედ მოიპოვეს კიევის „სპარტაკის“ ხელბურთელებმა, ხოლო მათი წარმომადგენელი ტ. მაკარეცი სსრ კავშირის ჩემპიონატების საუკეთესო ბომბარდირია. მის ანგარიშზეა 255 ბურთი.

ვერცხლის მედლები დაისაკუთრეს კაუნასის „ჟალგირისის“ სპორტსმენებმა, ხოლო ბრინჯაოსი — ბაქოს სპორტნაწარმის ფაბრიკის წარმომადგენლებმა. უმაღლეს ლიგას გამოემშვიდობა ზეგრევოს „კოლოსი“ და სვერდლოვსკის „კალინინეცი“. მათ ადგილს დაიკავებენ კიევის „ავტომობილისტი“ და ტალინის „ტიუდი“.

**ზაპოროჟიელი** ხელბურთელი ვაჟები მონაწილეობენ პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონის საერთაშორისო ტურნირში. მათ ორი შეხვედრა ჩაატარეს. ჯერ დაამარცხეს მასპინძლები 26:25, ხოლო შემდეგ წააგეს დანიის ეროვნულ გუნდთან — 26:27.



# ჩემპიონის გზა

**მიუხედავად** იმისა, რომ ქართველ დოკუმენტალისტებს ბევრი საინტერესო ფილმი აქვთ შექმნილი ჩვენს სპორტსმენებზე, სპორტული ფილმების ხვედრითი წონა დოკუმენტური სტუდიის შემოქმედებით ბალანსში შედარებით ნაკლებია.

ამდენად უფრო სასიხარულოა ის ამბავი, რომ დღეს ქართული დოკუმენტური კინოს ერთ-ერთი შემოქმედებითი კოლექტივის მიერ (სცენარის ავტორი და რეჟისორი უ. მჭედლიძე, ოპერატორები გ. როგავა და ა. კურინი, რედაქტორი ა. ხუჭუა) შეიქმნა და მალე ეკრანებზე გამოვა ფილმი დავით კვაჭაძეზე.

— დავით კვაჭაძე ქართული კრივის განსაკუთრებული ფიგურაა — ამბობს ფილმის რეჟისორი უშანგი მჭედლიძე, — ჩვენში ჯერჯერობით არავის მიუღწევია წარმატებათა იმ დონისათვის, რაც დავითმა შეძლო. მე თვითონ ყოფილი მოკრივე ვარ, კარგა ხანია ჩამოვცილდი სპორტს, მაგრამ დიდი სურვილი მქონდა შემექმნა ფილმი მოკრივეზე. მომეცა კიდეც კარგი შესაძლებლობა. გარდა იმისა, რომ კრივი საკმაოდ საინტერესო, ვაჟკაცური სპორტია, იგი ამავე დროს ძალზე კინემატოგრაფიულიცაა.

ფილმის დასაწყისი ყველა ახალგაზრდა სპორტსმენისთვის მაგალითის მიმცემია. პირველივე კადრებიდან მაყურებელი ეცნობა ჭაბუკი სპორტსმენის პირველ ნაბიჯებს. დავითი, ელექტროავტომატის ქარხნის მოწინავე მუშა, კარგად უთავსებდა ფიზიკურ შრომას სპორტულ ვარჯიშებს. „ძნელი იყო ცვლის დამთავრების შემდეგ სავარჯიშო სარბიელზე გასვლა, მაგრამ სპორტის სიყვარული ყოველგვარ სიძნელეებს მაძლევინებდა", — გვიამბობს თვით ფილმის გმირი. შემდგომ სამხედრო სამსახური და პირველი წარმატებები რინგზე. ამის შემდეგ ეკრანი თანაბრად და შესაბამისი დინამიკით გვიამბობს ჭაბუკი სპორტსმენის აღმასვლას წარმატებათა ძნელ გზაზე — კუბა, შეერთებული შტატები, ჰალე, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატები, სადაც დავითმა ორგზის ისახელა თავი.

შთამბეჭდავი კინემატოგრაფიული ხერხებით მიმოიხილება მსოფლიოსა და საბჭოთა პრესის ფურცლები.

ფილმის ავტორებს არც სპორტსმენის ჩავარდნებზე მოუხუჭავთ თვალი — რას იზამ, ასეთია სპორტული ცხოვრება, დიდ წარმატებებს წარუმატებლობაც სდევს თან

სიმბოლურია ფილმის ფინალი — დათო ნავში ზის, ღონივრად უსვამს ნიჩბებს და თამამად მიაპობს წყალს... ეკრანზე ასახული შემოქმედებითი შრომით, სპორტული გზნებით აღსავსე მომენტები კი იმედით აღგვავსებს, რომ სახელოვანი სპორტსმენი კიდევ ბევრ სიხარულს მოუტანს თავის თაყვანისმცემლებს.

**ჯ. ვაჩიბერიძე.**

# კიდევ ორი ქულა

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 2 ივლისი.

**„ლოკომოტივი" (თბილისი) — „ფილი" (მოსკოვი) 10:0 (4:0).**

**„ლოკომოტივი":** ცისკარიშვილი (ჩაჩანიძე), მ. ხარშილაძე, ცხვედიანი, სუთიაშვილი, ჯვარიძე, პეტუხოვი, ლიბრაძე, ბენდიაშვილი, კილასონია, გიორგაძე, ავლასტიმოვი, ულენტი, ლიპარტელიანი (ტარიელაშვილი), შ. ხარშილაძე, გაბაძე.

**„ფილი":** ფედოროვი, კუდრიაშოვი (კოლომენცევი), კაპიტონოვი, ლიხაჩოვი, დოროფეევი, იურიევი, ემელიანოვი, ბერეზოვი, ივაშოვი, ნაუმკინი, ხრუშჩოვი, ევსეევი, ვრობლევსკი, კაჩანოვი, დროჟინი.

**მსაჯი ა. ბრასასი (კაუნასი).**

თბილისელები საკავშირო ჩემპიონატის ფინალურ ჯგუფში 6 ოქროს ქულით შევიდნენ, „ფილი" — ოთხით და აქედან ორი ქულა მოსკოველებმა თბილისში პირველ წრეში „ლოკომოტივზე" გამარჯვებით მიიღეს, თუმცა მაშინაც მასპინძლები წარმატებასთან სულ ახლოს იყვნენ.

ახლა რკინიგზელი რეგბისტებისთვის მოგება მარტო რევანში კი არ იყო, არამედ კიდევ ორი ქულის მოპოვება, რომელიც მათ პოზიციას საპრიზო ადგილისთვის ბრძოლაში უფრო განამტკიცებდა.

მაგრამ მატჩი, როგორღაც დუნედ დაიწყო, ისე თითქოს არც ერთ გუნდს არ სურდა შეხვედრის მსვლელობისთვის ტონი მიეცა, მოწინააღმდეგე მწვავე ბრძოლაში გამოეწვია. 20 წუთი მინდვრის შუაგულში თამაში გავიდა. საფრთხე არც ერთი გუნდის ჩათვლის მოედანთან არ შექმნილა.

ამ მომენტში „ფილი" თბილისელთა ნახევარზე იყო და მასპინძელთა კარისკენ გასაძრომს ეძებდა. აქ ბურთს ავლასტიმოვი დაეუფლა და მარჯვენა ფრთიდან იერიში დაიწყო, რომელიც ჯერ შ. ხარშილაძემ გააგრძელა, მერე კი, როცა თბილისელები „ფილის" „ქალაქს" მიუახლოვდნენ, ბენდიაშვილმა მარცხენა ფლანგისკენ გადაინაცვლა. უკანასკნელ მომენტში „ლოკომოტივის" იერიში შეწყდა — მოსკოველებმა ბურთი აუტში რის ვაი-ვაგლახით მოიგერიეს. მაგრამ ბურთს ისევ რკინიგზელები დაეუფლნენ და ძალისმიერი შეტევით პირის ხაზთან მივიდნენ. აქ კი სუთიაშვილმა თანაგუნდელების გარჯა დააგვირგვინა — 4:0.

მოსალოდნელი იყო, რომ მარცხს მოსკოველები ტექნიკური თამაშით, მძაფრი შეტევებით უპასუხებდნენ. სამწუხაროდ, საკმაოდ უხეირო მოკავშირეს — ხულიგნობას მიმართეს, რაც განსაკუთრებით საგრძნობი გახდა მეორე ტაიმში. მსაჯის არაერთგზის მითითების მიუხედავად სტუმრებმა აკრძალული ილეთების გამოყენებას თავი არ დაანებეს, ერთ-ერთი შერკინების დროს კი ბერეზოვმა გაფრთხილებაც მიიღო.

მაგრამ ამ სასჯელს მარტო ბერეზოვი როდი იმსახურებდა. ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონს — „ფილის" არ შეფერის მალულად თუ აშკარად უხეშობა, რაც სპორტის ამ საინტერესო სახეობას ჩრდილს აყენებს.

თბილისელთა მორიგ იერიშებს ახალი წარმატებები მოჰყვა: ჯერ კილასონიამ ზუსტად დაარტყა საჯარიმო — 7:0, ხოლო მერე მ. ხარშილაძემ შესანიშნავად ჩაჭრა სტუმრების განივი გადაცემა და წინ დაიძრა. მან რამდენიმე მეტოქის მოტყუება შეძლო, „ფილის" ჩათვლის მოედნამდეც მიაღწია, მაგრამ შეკრეს. აქ ბურთი ისევ თბილისელებმა გამოიტანეს და გაბაძემ არეკნით დარტყმით უკანასკნელი გოლი გაიტანა.

**ო. გელაშვილი.**

## რეგბი

**კვირას** ოქროს მაძიებელთა კიდევ ორი მატჩი გაიმართა. კიევში ადგილობრივი გუნდები — ერთპიროვნული ლიდერი „ავიატორი" და „პოლიტეხნიკი" თამაშობდნენ. „ავიატორმა" დაამარცხა მეტოქე — 28:6.

მოსკოვში „ლოკომოტივმა" ადგილობრივ „სლავას" უმასპინძლა და წააგო მატჩი ანგარიშით 0:14.

**ფინალური ჯგუფის გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 4 ივლისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ავიატორი" | 6 | 5 | 1 | 0 | 95—27 | 11 |
| „ლოკომ". თბ. | 6 | 4 | 0 | 2 | 100—59 | 8 |
| „სლავა" | 6 | 3 | 0 | 3 | 95—65 | 6 |
| „ლოკომ". მ. | 6 | 2 | 1 | 3 | 46—52 | 5 |
| „ფილი" | 6 | 1 | 2 | 3 | 36—84 | 4 |
| „პოლიტეხ". | 6 | 1 | 0 | 5 | 56—141 | 2 |

**კვირას** განახლდა VII-XIV ადგილებისთვის მებრძოლი კოლექტივების, უფრო სწორად, იმ ოთხი ადგილისთვის ბრძოლა, რომელიც გაისად უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლებას იძლევა. აქ გუნდები ყველაფერს თავიდან იწყებენ.

ქუთაისში საკავშირო პირველობის პირველი ლიგის ერთ-ერთ ჯგუფში გამარჯვებულმა, ადგილობრივმა „სახლმშენმა" ლენინგრადის „პრიმორეცს" უმასპინძლა. ანგარიში რუმიანცევმა გახსნა არეკნით დარტყმით. 5 წუთის შემდეგ კავთელაშვილმა 30 მეტრიდან ასევე არეკნით დარტყმით გაათანაბრა იგი — 3:3.

შესვენების მერე ისევ რუმიანცევმა დააწინაურა „პრიმორეცი" საჯარიმოთი, ხოლო, როცა თამაშის დამთავრებას 9 წუთი აკლდა, ასევე საჯარიმოთი თუთბერიძემ კვლავ აღადგინა წონასწორობა. საბოლოოდ 6:6.

მორიგ შეხვედრას „სახლმშენი" ჩაატარებს თბილისის „ელვასთან".

**შ. ნიჟარაძე.**

## ერთი ოჯახი — ერთი ფიზკულტურული კოლექტივი

კულიაბელი სარმისაკოვების ოჯახი 17 წევრისგან შედგება და ყოველი მათგანი მისდევს სპორტს, მონაწილეობს საქალაქო ან სასკოლო შეჯიბრებებში.

მათი დღე დილის გამამხნევებელი ვარჯიშით იწყება. ყველას მაგალითს აძლევს ოჯახის უფროსი — ადგილობრივი კარაქის ქარხნის ინჟინერი ნაზარი, რომელიც მართალია ახალგაზრდა არ არის, მაგრამ ძალითა და ამტანობით ტოლს არ უდებს ახალგაზრდებს. 6 ვაჟთან და 9 ქალიშვილთან ერთად ვარჯიშობს მათი დედაც — საზოგადოებრივი კვების მუშაკი.

მეგობრულ ოჯახში სპორტის ათ სახეობას მისდევენ. ხასანს ფრენბურთი იტაცებს, ბათური მოჭადრაკეა, ზულაიხო — ჩოგბურთელი, ხუთი წლის მეჰრი კი ცურვას სწავლობს, მაგრამ ეს ხელს არ უშლის სარმისაკოვებს სახლმმართველობის სპარტაკიადაზე გამოიყვანონ ფრენბურთელთა ან მძლეოსანთა ოჯახური გუნდი.

— ფიზკულტურა და სპორტი ჩვენთვის სიმხნევე და ჯანმრთელობაა, — ამბობს ნაზარი.

სპორტული ოჯახი უპირატესობას მშდ კომპლექსს ანიჭებს.

სარმისაკოვები შრომაშიც მარჯვენი არიან. ამას წინათ ოჯახმა ზეიმი გამართა შუათანა ვაჟის — მძლეოსნობაში პირველთანრიგოსანი, მებულდოზერე თემურის პატივსაცემად. მან ვადაზე ადრე შეასრულა ხუთწლედის სამი წლის დავალება.

**დ. აშუროვი,**
(საქდესის კორ.).

კულიაბი,
ტაჯიკეთის სსრ.

# დორტმუნდსა და ლაიფციგში

**დორტმუნდში** (გფრ) დამთავრდა საბჭოთა კავშირისა და გფრ-ის მძლეოსანთა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი, რომელიც სტუმრებმა მოიგეს ანგარიშით 197:172.

საბჭოთა სპორტსმენებიდან აღსანიშნავია სპრინტერ ვ. იგნატენკოსა და ბადროს მტყორცნელ ფ. მელნიკის წარმატება. პირველმა იმარჯვა 100 და 200 მეტრზე რბენაში, აგრეთვე 4X100 მეტრზე ესტაფეტაში, ხოლო მელნიკმა ბადრო 67,60 მეტრზე ტყორცნა.

შუროს ტყორცნა მოიგო ვ. დმიტრაენკომ — 67,41. ვ. კულებიაკინმა იმარჯვა 110 მეტრზე თარჯრბენში — 13,69. ნ. გრებნიოვმა შუბის ტყორცნაში — 89,82. თბილისელებისთვის ნაცნობმა მ. კუნჩუნოვამ ყველას აჯობა 400 მეტრზე შეჯიბრებაში — 51,55.

მასპინძელთა შედეგებიდან აღსანიშნავია ოლიმპიური ჩემპიონის ა. რიჰტერის გამარჯვება 100 მეტრზე ასპარეზობაში — 11,32. ვაჟთა შორის სიმაღლეზე ხტომაში მსოფლიო რეკორდსმენი ვ. იაშჩენკო შეჯიბრებაში არ მონაწილეობდა. ყველას გფრ-ის რეკორდსმენმა კ. ტრეინჰარდმა აჯობა — 226. გ. ბელკოვმა 221 სმ გადალახა და III ადგილს დასჯერდა.

**ლაიფციგში** მიმდინარეობს გდრ-ის მძლეოსანთა ჩემპიონატი. ასპარეზობის პირველ დღეს ამ ქვეყნის ორი რეკორდი გაუმჯობესდა: ოლიმპიურმა ჩემპიონმა უ. ბაიერმა ბირთვი 21,89 ჰკრა, ხოლო 19 წლის რ. შტოიკმა შურო 78,14 მეტრზე გადააგდო.

მსოფლიო რეკორდსმენმა მ. ელსნერმა 100 მეტრი 11,1 წამში გაირბინა. ეს წლეულს საუკეთესო შედეგია მსოფლიოში.

## მძლეოსნობა

ცნობილმა სპორტსმენმა მ. კოხმა წლეულს მესამე მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ამჯერად 400 მეტრზე ასპარეზობაში ამ ქალმა 49,19 წამი აჩვენა და 0,1 წამით გადაამეტა პოლონელი ი. შევინსკას აღრინდელ მსოფლიო მიღწევას. მოგაგონებთ, რომ კოხმა მანამდე, 23 მაისს მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა 200 მეტრზე რბენაში (22,06), ხოლო ერთი კვირის მერე ეს შედეგი თვითონვე გაიმეორა.

ახლა ქალთა სპრინტში ყველა მსოფლიო რეკორდი გდრ-ის მძლეოსნებს ეკუთვნით: 100 მეტრზე რბენაში მისი ავტორია ელსნერი — 10,88, 4×100 მეტრზე ესტაფეტაში (42,5) და 4×400 მეტრზე ესტაფეტაში (3.19,23) — გდრ-ის ნაკრები კოლექტივები.

# გდრ-ის პრესა სამი ქვეყნის მატჩის თაობაზე

**ბერლინი.** „სამი მძლეოსნური სახელმწიფოს — გდრ-ის, სსრ კავშირისა და პოლონეთის მატჩი არა მარტო მნიშვნელოვანი ეტაპი იყო სეზონის პიკის — პრაღის ევროპის ჩემპიონატის გზაზე, არამედ მისი წყალობით განმტკიცდა კონტაქტები ამ ქვეყნების სპორტსმენთა შორის. მატჩმა აჩვენა, აგრეთვე, თუ როგორი შედეგებია მოსალოდნელი სეზონში. ასე აფასებს ვილნიუსის შეჯიბრებას გაზეთი „დოიჩეს შპორტეხო". იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებასაც, რომ მიუხედავად გდრ-ის მძლეოსან ქალთა დამაჯერებელი გამარჯვებისა, „მათი პოზიციები ურყევი არ არის". რაც შეეხება მსოფლიო თასის შარშანდელ მფლობელებს, გდრ-ის მძლეოსან ვაჟებს „ბევრი მუშაობა მოუწევთ".

„სამთა მატჩში ჩვენი ვაჟების წარუმატებლობის მიზეზი, — წერს გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი", — ტექნიკურ დისციპლინებში ჩამორჩენაა". (საქდესი).

# ოთხი მსოფლიო რეკორდის ავტორი





ს უ რ ა თ ზ ე: ჰ. რონო დისტანციაზე.

**ოსლოში,** „ბიშლეტის" სტადიონზე გაიმართა დიდი საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც სამგზის ოლიმპიურმა რეკორდსმენმა, კენიელმა ჰ. რონომ 3000 მეტრზე ასპარეზობაში 7.32,1 აჩვენა და ამ სახეობაშიც მსოფლიო რეკორდსმენი გახდა. ახლა რონო ოთხი მსოფლიო რეკორდის ავტორია: 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში, 3000, 5000 და 10000 მეტრზე ასპარეზობაში.

აქვე იამაიკელმა დ. ქვორიმ მოიგო 200 მეტრზე ასპარეზობა—20,2, ხოლო კენიელმა მ. ბოიტმა იმარჯვა 800 მეტრზე — 1.46,8. სიმაღლეზე ხტომაში კანადელ გ. ჯოისა და ამერიკელ ჯ. სტოუნზის დუელი პირველის გამარჯვებით დამთავრდა, თუმცა ორივემ 224 სმ გადალახა.

შემდეგ ამ ტურნირის ზოგიერთი მონაწილე ჰელსინკს გაემართა და აქაურ ოლიმპიურ სტადიონზე ე. წ. „მსოფლიო თამაშებში" სცადა ძალა. რონო ამჯერად 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში ასპარეზობდა და გაიმარჯვა — 8.16,8. მაგრამ შეჯიბრების ნამდვილი გმირი იყო ამერიკელი ჯ. ბატსი, რომელმაც სამხტომში ეროვნული რეკორდი გააუმჯობესა — 17,24 მ.

რედაქტორის მოადგილე
**ზ. ჯაფარიძე.**

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ, ᲒᲐᲠᲓᲐ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘᲡᲐ. ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-98-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66435 — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. — უე 07922